ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N10

სხდომის ჩატარების დრო:
3 აგვისტო, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

სულ: 12 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი,** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი **თენგიზ არსენიძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში, დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიში, დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში, დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მიხედვით, კერძოდ, მიმდინარე პერიოდში გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია: რეზო ჭეიშვილის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება - 2544,8 ათ. ლარი; ნიკეას ქუჩის მე-7 ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება-467,1 ათ. ლარი; ახალგაზრდობის გამზირის მე-7 შესახვევი საქართველოს მთავრობის 31/12/2020 წლის N2685 განკარგულება-89.0 ათ. ლარი; მდინარე ოღასკურაზე (კადეტების სასწავლებელთან) ხიდის მშენებლობა საქართველოს მთავრობის 31/12/2020 N2685 განკარგულება-188,7 ათ. ლარი; საკომპოსტე მეურნეობასთან მისასვლელი გზის მშენებლობა (ააიპ სპეციალური სერვისების ტერიტორია)-157.0 ათ. ლარი; გუგუნავას ქუჩიდან (ცენტრალური გზიდან) გუგუნავას #9-მდე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება-130,3 ათ. ლარი. მაჩაბლის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა

საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება-618,3ათ. ლარი, სააკაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება-1479,7 ათ. ლარი, ჭაბუკიანის ქუჩის II და IV ჩიხების საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია -44.0 ათ. ლარი; მწვანე ყვავილას ქუჩის N9ა-სთან დამეწყრილ ტერიტორაზე ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა -1145.0 ათ. ლარი;

მიმდინარეობს: ლომოურის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (ასფალტის საცვეთი ფენის დაგება) საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება-1591.7 ათ. ლარი; კუპრაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება"-978,7 ათ. ლარი; ი.ჭავჭავაძის გამზირზე (მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის მიმდებარედ) საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება -742,1 ათ. ლარი; ბუკიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება-2342,5 ათ. ლარი; მანდარიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება - 897,4 ათ. ლარი; სულხან-საბას პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაიცა -საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება- 1243,1 ათ. ლარი; ჯიბლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება- 291,0 ათ. ლარი; ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება- 224,1 ათ. ლარი; გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის გზის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 31/12/2020 წლის N2685 განკარგულება- 74.0 ათ. ლარი; გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის გზის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 17/01/2022 წლის N75 განკარგულება- 1030.0 ათ. ლარი; ვაჟა ფშაველას ქუჩის მე-4 შესახვევის დარჩენილი ნაწილის საგზაო ინფრასტრქუტტურის რეაბილიატცია- 20.0 ათ. ლარი; ლესელიძის ქუჩის III და V ჩიხების საგზაო ინფრასტრქუტტურის რაებილიტაცია- 417.0 ათ. ლარი; საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთებაზე გამოყოფილია 915,9 ათ. ლარი, ასფალტის, ბეტონის საფარის, გრანიტის და დეკორატიული ფილების საფარის შეკეთების სამუშაოებზე. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულეების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია - 45,0 ათ. ლარის ფარგლებში. ლესელიძის ქუჩიდან რუას ქუჩის N2-მდე სანიაღვრე სისტემის მშენებლობა-198.0 ათ. ლარი; ჩხობაძის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მშენებლობა-188.0 ათ. ლარი; ხარებავას ქუჩაზე, სს ჰუალინგის მიმდებარედ, მდ. ოღასკურას კალაპოტის გამტარუნარიანობის გაზრდა საქართველოს მთავრობის 31/12/2020 N2685 განკარგულება -661,3 ათ. ლარი; თბილისის ქუჩის დაზაინებული ღვარსადენის აღდგენა-51.5 ათ. ლარი, ე.წ. "თამარას ღელეს" (სანიაღვე ქსელის) რეაბილიტაცია-269 ათ ლარი. გელათის, ნიუპორტის და კოსტავას ქუჩების კვეთასთან, სისხლის ბანკამდე სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოზე ორგანიზაციას არაჯეროვანი შესრულებისთვის შეუწყდა ხელშეკრულება საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების პროგრამის ფარგლებში დასრულებულია: „რიონჰესის საყრდენი კედლის მოწყობა, სოლომონე მეორის ქუჩის N28 საყრდენი კედლის მოწყობა"-123,5 ათ. ლარი; "ბარნოვის ქუჩის N39-თან, ძნელაძის ქუჩის N12-14-თან, ძნელაძის ქუჩის N4-თან, ძნელაძის ქუჩის N30-თან, ქალაქ

ქუთაისში, პეტრე იბერის ქუჩის N22-თან, რუას ქუჩის N16ა-სთან, ჩანჩიბაძის ქუჩის N70-თან საყრდენი კედლების მოწყობა-162.1 ათ. ლარი; ქალაქ ქუთაისში, გაპონოვის ქუჩა N82-თან, ლესელიძის ქუჩა N189-თან, მწვანე ყვავილას ქუჩა N8-14-თან და მწვანე ყვავილას ქუჩა N12-თან საყრდენი კედლების მოწყობა-77.6 ათ. ლარი; ახალგაზრდობის გამზირის N44-თან, N45-თან და N47-თან საყრდენი კედლების მოწყობა-102.8 ათ. ლარი; ნეკრასოვის ქუჩის N6-თან, ტყიბულის ქუჩის N137-თან, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: ქეთევან წამებულის ქუჩის მეორე შესახვევის N9-თან საყრდენი კედლის მოწყობა- 123.9 ათ. ლარი; წერეთლის ქუჩის მესამე შესახვევში კიბისა და კედლის რეაბილიტაცია -162.1 ათ. ლარი; ქალაქ ქუთაისში, გაპონოვის ქუჩა N82-თან, ლესელიძის ქუჩა N189-თან, მწვანე ყვავილას ქუჩა N8-14-თან და მწვანე ყვავილას ქუჩა N12-თან საყრდენი კედლების მოწყობა-77.6 ათ. ლარი; ახალგაზრდობის გამზირის N44-თან, N45-თან და N47-თან საყრდენი კედლების მოწყობა-102.8 ათ. ლარი; კლდიაშვილის ქუჩის მე-6 შეს. N20-თან, ნეკრასოვის ქუჩის N100-თან, გელათის ქუჩის N96-თან, გელათის ქუჩის N98-თან , გელათის ქუჩის N48 -სთან საყრდენი კედლის მოწყობა-174.3 ათ. ლარი; ქალაქ ქუთაისში, ქეთევან წამებულის მეორე შესახვევში საყრდენი კედლის და მოაჯირის მოწყობა-18.3 ათ. ლარი. **გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:** პროგრამის ფარგლებში დასრულებულია: შ. რუსთაველის გამზირის და ლაღიძის ქუჩის კვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 16/082021 წლის N1419 განკარგულება-234,5 ათ. ლარი; ბუხაიძის ქუჩაზე, "სასწრაფოს ცენტრის" წინ სკვერის მოწყობა-108.3 ათ. ლარი; ზ. ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს/კ 03.01.03.551; სკვერის მოწყობა -233.5 ათ. ლარი; ი. ჭავჭავაძის გამზ. N46ა და N48 შორის (ს/კ 03.04.26.479); სკვერის მოწყობა-35.5 ათ. ლარი; ი. ჭავჭავაძის გამზ. N48 და N50 შორის (ს/კ 03.04.26.565): სკვერის მოწყობა-77.9 ათ. ლარი; ნიკეას მეორე შესახვევის N13 სკვერის მოწყობა- 60.8 ათ. ლარი;მე-17 ბაგა-ბაღის მიმდებარედ (ს/კ 03.01.21.314) სკვერის მოწყობა -93.2 ათ. ლარი; ცაცხვების ქუჩის N5 სკვერის მოწყობა-39 ათ. ლარი; ნიკეას ქუჩაზე, საქართველოს დროშის ირგვლივ არსებული გზის გამყოფი ზოლის ლითონის ღობის დამზადება-მონტაჟი -3.7 ათ. ლარი; ცაცხვების ქუჩის N51-ში (ს.კ 03.02.03.117) სკვერის მოწყობა-48.3ათ. ლარი; თომაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა-58.5 ათ. ლარი, მიმდინარეობს სამუშაოები: დავით აღმაშენებლის გამზირზე, ე.წ. პალმების ხეივანში რეკრიაციული ინფრასტრუქტურისა და ველობილიკების მოწყობა - 2657,1 ათ. ლარი; თაბუკაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა - 274 ათ. ლარი; მაისურაძის ქუჩის N9-ში სკვერის მოწყობა -241 ათ. ლარი; ასევე მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება, მოვლა-პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა 1298 ათ. ლარი. **საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:** პროგრამის ფარგლებში დასრულებულია: N3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (დარჩენილი სამუშოები) საქართველოს მთავრობის 04/02/2021 წლის N147 განკარგულება- 65,6 ათ. ლარი; N24 ბაგა-ბაღის ფასადის რეაბილიტაცია-56.8 ათ. ლარი. **მემორიალური დაფებისა და პანთეონის მოვლა - პატრონობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:** პროგრამის ფარგლებში მოეწყო ხუთი მემორიალური დაფა გამოჩენილი ადამიანების და ერთი ბარელიეფი - 15,0 ათ. ლარის ფარგლებში. **ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა რეკონსტრუქცია:** პროგრამის ფარგლებში დასრულდა: N4 შერეული პოლიკლინიკის შენობის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები-134.0ათ. ლარი; მიმდინარეობს პროექტირება: მერის წარმომადგენელთა ოფისების მშენებლობა „თაბუკაშვილისა“ადმინისტრაციულ ერთეულებში -400.0 ათ.ლარი.

მიმდინარეობს სამუშაოები: საფეხბურთო მოედნის, ტრიბუნებისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა (შვიდკაცა)-475.0ათ. ლარი; სპორტული მოედნების რაბილიტაცია-58.2 ათ. ლარი; ხარებავას ქუჩის N5ბ ბინის მიმდებარედ სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია-63.3 ათ. ლარი; მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია-801.9ათ. ლარი;; ასათიანის ქუჩაზე მდებარე (ე.წ. მარაკანა) სტადიონის რეაბილიტაცია -67.7ათ. ლარი.მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია -287.8 ათ. ლარი. ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა -1844,2 ათ. ლარი; ხარებავას ქუჩაზე ჭიდაობის დარბაზის ახალი ფლიგელის მიშენებაზე-ორგანიზაციასთან შეწყდა ხელშეკრულება. ასევე ასათიანის ქუჩაზე მდებარე (ე.წ. მარაკანა) სტადიონის რეაბილიტაციაზე - შეწყდა ხელშეკრულება და მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და განმეორებით გამოცხადდება ტენდერი. დასრულდა ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩაზე საცხოვრისის რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31დეკემბრის N2685 განკარგულება)-966,4 ათ. ლარი. დასრულდა 6 ეზოს რეაბილიტაცია-300 000 ათ. ლარი მიმდინარეობს 24 ეზოს რეაბილიტაცია-ღირებულებით 500,0 ათ ლარი, მიმდინარეობს სამუშაოები: აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია (საქართველოს 2021 წლის 16 აგვისტოს მთავრობის N1419 განკარგულება-661,0 ათ. ლარი; დასრულდა ლადო ასათიანის ქუჩის №145-ში და №147ა -140.3; ავტომშენებლის გამზირის №14, №16 და №18-274.1; ახალგაზრდობის გამზირის NN00ა-130.6 ათ. ლარი, ოპერის თეატრის დაზიანებული საწვიმარი მილების შეცვლა- 2.1 ათ. ლარი.მიმდინარეობს სამუშაოები: "ავტომშენებლის გამზირზე # 3,5,7,9,11,15,17 საქართველოს მთავრობის 17.01.2022 წლის N75 განკარგულება"-849,8 ათ. ლარი; შოთა რუსთაველის გამზირი N90. 92. 94 -176 ათ. ლარი;; შოთა რუსთაველის გამზირი N102. 104-255.9ათ. ლარი; შოთა რუსთაველის გამზირი N85 -426ათ. ლარი; ავტომშენებლის გამზირზე, N10, N8 და N6 -222.1 ათ. ლარი. მიმდინარეობს 16 ერთეული შადრევან-აუზისა და წყლის ნიჟარების ექსპლოატაცია (წყლისა და ელექტრო ენერგიის ხარჯის ჩათვლით)-185.0 ათ. ლარი; დასრულდა სამუშაოები დავით აღმაშენებლის მოედანზე მდებარე ცენტრალური შადრევნის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულება) -474,4 ათ. ლარი. დასრულდა მცირე გაბარიტიანი ავტობუსების (მიკროავტობუსების) შეძენა -1464,4 ათ. ლარი; მიმდინარეობს "საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვაზე ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით საქართველოს მთავრობის 16/08/2021 წლის N1419 განკარგულება" -1155,7 ათ. ლარი; პროექტირების ფაზაშია ავტობუსებუს გაჩერების მოწყობა-რეაბილირტაცია -100.0 ათ. ლარი. მიმდინარეობს ს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების ექსპლოატაცია - 299.3 ათ. ლარის ფარგლებში. 11.11.2021 წელს გაფორმებული N389 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ტექ სერვისი +"-მა დაასრულა 7 ლიფტის რეაბილიტაცია ღირებულებით **135,5 ათ.** ლარი. აღნიშნული აქტივობა წარმოადგენს 2021 წლის ვალდებულებას. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის განკარგულებით გამოყოფილი თანხების საფუძველზე გაფორმდა **284,8 ათ.** ლარის ღირებულების 3 ხელშეკრულება 17 ლიფტის რეაბილიტაციის მიზნით. შპს „სატურნი"-მ 11.02.2022 წლის N58 ხელშეკრულების ფარგლებში დაასრულა 8 ლიფტის რეაბილიტაცია ღირებულებით **123,4 ათ** ლარი, ხოლო შპს „ბერძელქვა 20"-მა 25.02.2022 წლის 83 ხელშეკრულების ფარგლებში დაასრულა 7 ლიფტის რეაბილიტაცია ღირებულებით **109,4 ათ.** ლარი. შპს „წრედი"-მ 30.03.2022 წლის N143 ხელშეკრულების ფარგლებში

დაასრულა 2 ლიფტის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს დოკუმენტაციის მომზადება 40766,99 ლარის ანაზღაურებისთვის. შპს „წრედი“ 09.06.2022 წლის N257 ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს ერისთავის N7-ში ლიფტის რეაბილიტაციას. სამუშაოების დასრულდება 24 ივლისს. შპს „გეგუ“-მ დაასრულა 03.11.2021 წლის N378 ხელშეკრულების ფარგლებში 6 ობიექტის რეაბილიტაცია ღირებულებით **31,7 ათ** ლარი. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს 2021 წლის ვალდებულებას. 05.05.2022 წლის N199 ხელშეკრულების ფარგლებში ი/მ ფატიმა ერქვანიამ დაასრულა 7 ობიექტის რეაბილიტაცია ღირებულებით **27,4 ათ** ლარი. ი/მ ზაზა ჯიჯელავა 06.05.2022 წლის N220 ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს 7 ობიექტის რეაბილიტაციას. ავანსის სახით ჩაერიცხა 7,6 ათ. ლარი. 18.05.2022 წლის N233 ხელშეკრულების ფარგლებში (11 ობიექტი) შპს „პალასა“-მ დაასრულა 5 ობიექტის რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს 14,6 ათ. ლარს. 24.05.2022 წელს გაფორმებული N239 ხელშეკრულების ფარგლებში ი/მ თეიმურაზ ქვარიანი ახორციელებს 9 ობიექტის რეაბილიტაციას. 22.11.2021 წელს გაფორმებული N397 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „თბომშენი“-მ დაასრულა 14 სადარბაზოს რეაბილიტაცია ღირებულებით **68,2 ათ.** ლარი. აღნიშნული აქტივობა წარმოადგენს 2021 წლის ვალდებულებას.საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის განკარგულებით გამოყოფილი თანხების საფუძველზე გაფორმდა **1 486 ,0 ათ** ლარის ღირებულების **10** ხელშეკრულება **362** სადარბაზოს რეაბილიტაციის მიზნით. N60 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „მეკა“-მ დაასრულა 42 სადარბაზოს რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ანაზღაურების დოკუმენტაციის მომზადება.N64 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „სითი ფლანერი“-მ დაასრულა 43 სადარბაზოს რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს **62,1 ათ.** ლარს. N65 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „სითი ფლანერი“-მ დაასრულა 47 სადარბაზოს რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს **99,6 ათ.** ლარს.N66 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „სითი ფლანერი“-მ დაასრულა 42 სადარბაზოს რეაბილიტაცია. ავანსის სახით ანაზღაურებული თანხა შეადგენს **36,8 ათ.** ლარს.N67 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „სითი ფლანერი“-მ დაასრულა 50 სადარბაზოს რეაბილიტაცია. ავანსის სახით ანაზღაურებული თანხა შეადგენს **37,4 ათ.** ლარს.N72 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ინტერიერი“-მ დაასრულა 45 სადარბაზოს რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა არ არის.N74 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „თბომშენი“-მ დაასრულა 32 სადარბაზოს რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა არ არის.N116 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „იდელამშენი“-მ დაასრულა 21 ობიექტის რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს **54,5 ათ** ლარს.N121 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ბესთმშენი“-მ დაასრულა 34 სადარბაზოს რეაბილიტაცია. შუალედურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს **51,4 ათ.** ლარს.N145 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „სითი ფლანერი“-მ დაასრულა 6 ობიექტის რეაბილიტაცია ღირებულებით **66,8 ათ.** ლარი. N121 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ იქნა **148,9 ათ.** ლარის ღირებულების **6000** კვ. მ გოფრირებული და **1500** კვ. მ ფურცლოვანი თუნუქი, ხოლო N253 ხელშეკრულების ფარგლებში **14500** კვ. მ ჰიდროსაიზოლაციო მასალა ღირებულებით **123,2 ათ.** ლარი. მიმდინარე წელს განხორციელდა შპს „იდელამშენი“-სთვის მაიაკოვსკის ხეივანი (ყოფ. ახალგაზრდობის გამზირი) მე-5,მე-7,მე-9 და მე-10 შესახვევების დამაკავშირებელი საფეხმავლო კიბეების; დ. კლდიაშვილის მე-6 შესახვევი N15, საცხოვრებელი სახლის წინ გამავალი და ტყიბულის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზაზე არსებული კიბეების; აღმაშენებლის N9,11,13 ბინის გვერდით, ჩასასვლელი, დაზიანებული კიბის ბაქნის უჯრედის სამუშაოების საბოლოო

ანაზღაურება ღირებულებით **9,9 ათ.** ლარი. ასევე განხორციელდა შპს „თეგიკა უნივერსალი"-სთვის სულხან-საბას ცენტრალურ გზაზე ხიდის დაზიანებული მოაჯირის აღდგენის; ახალგაზრდობის გამზირი 1 შეს. (არხის თავზე) დაზიანებული მოაჯირის აღდგენის; ნიკეას ქ. N40ის მიმდებარედ არხის მოაჯირის მოწყობის; ბუხაიძის მე-2-ე შესახვევში N9, ბინის მიმდებარედ მდინარე ოღასკურას სანაპიროსა და მასზე არსებულ ხიდზე მოაჯირის მოწყობის საბოლოო ანაზღაურება ღირებულებით **52,5 ათ.** ლარი. ორივე ხელშეკრულება წარმოადგენს 2021 წლის ვალდებულებას. N132 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „მშენებელი 2020"-მა დაასრულან იკეას ქ. N60 არსებულ ბინასთან დახურული საბოილერო თხრილის დემონტაჟისა და ბეტონის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით **23,8 ათ.** ლარი. N85 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „TU-KA"-მ დაასრულა ლეჟავას 5ა, ლეჟავას 5ბ და ნ. მუსხელიშვილის 1ა-ს მიმდებარედ სკვერის აღდგენა-რეაბილიტაციის და ნიკეას N30-ის მიმდებარედ, დროშასთან სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით **79,9 ათ.** ლარი.N94 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ელიტმშენი"-მ დაასრულა ჯავახიშვილის ქუჩის N6-დან ბარნოვის ქუჩის N25-თან ასასვლელი კიბის რეაბილიტაცია ღირებულებით **61,4 ათ.** ლარი.N99 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „მშენებელი 2017" ახორციელებს რ. თაბუკაშვილის ქ. N32-ში სკვერის მოწყობას და ავალიანის N16-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციას. შუალედურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს **110,6 ათ.** ლარს. 01.11.2021 წლის N375 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „თეგიკა უნივერსალი"-ს აუნაზღაურდა 7 მოედნის რეაბილიტაციის ღირებულება **153,3 ათ.** ლარი. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს 2021 წლის ვალდებულებას. 2022 წლის დღევანდელი მდგომარეობით ბიუჯეტში მობილიზებულა იქნა 1 250 . ათ. ლარამდე. 2022 წლის ივნისის თვის მდგომარეობით ახალი სამეწარმეო შეტყობინება ამოწერილ იქნა 241 იურიდიულ პირზე, განხორციელდა სხვადასხვა პროგრამული ცვლილებები. განხორციელდა ფიზიკური პირების ახალ აბონენტათ აყვანა. სხვადასხვა პროგრამული მომსახურება გაეწია 1000 მდე ფიზიკურ პირს. როგორც მოქალაქეთა მისაღებით ასევე ადმინისტრაციული ერთეულების მიერ გადმოცემული ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც სწორდება სულადობები დასუფთავების მოსაკრებლის პროგრამაში. განხორციელდა მონიტორინგი ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით მუნიციპალური ნარჩენების მართვის კუთხით მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობის შესახებ. მიმდინარეობს კომპოსტირების ცენტრის მუშაობის კონტროლი. განხორციელდა დასუფთავების ფართო მაშტაბიანი აქცია წყლის რესურსების დაცვის საერთაშორის დღესთან დაკავშირებით. მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით 22 აპრილს ,,დედამიწის დღეს''თანდაკავშირებით კამპანია ,,დავასუფთაოთ საქართველო"-ს ფარგლებში შედგა დასუფთავების აქციის კვირეული. ასევე 5 ივნისის გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად დასუფთავების აქცია ჩატარდა წინასწარ შერჩეულ მონაკვეთებზე.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებით გამოცხადებულ კონკურსის „სუფთა რეგიონი 2021"-ის ფარგლებში შედგა მონაწილეობის ორგანიზება."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ვფიქრობ უპრიანი იქნება სატენდერო

ვადების შემცირებაზე ვიფიქროთ, კომპანია, რომელსაც აქვს დიდი ვადა მაქსიმალურად წელავს დროს, ეძებს იაფ მუშახელს და ეს ყველაფერი მიდის იმ შედეგამდე, რომ არაჯეროვნად სრულდება ნაკისრი ვალდებულებები, ეს იწვევს მოსახლეობის გაღიზიანებას და უარყოფით დამოკიდებულებას. საბოლოოდ საქმე კეთდება თუმცა მოსახლეობა მაინც უკმაყოფილოა ასე რომ გონივრული ვადების განსაზღვრაზე ვიფიქროთ."

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე:** „ვადებს შევეხები მეც, აღმაშენებლის სკვერის რეაბილიტაციას რაც შეეხება მესმის, რომ ძალიან დიდი ფართობია მაგრამ ყოველდღე მიწევს იქ ჩავლა და მე არავინ დამინახავს იქ მომუშავე, არის ანტისანიტარია, მტვერი, მოსახლეობა აღშფოთებულია, არ არსებობს რაიმე მაკონტროლებელი მექანიზმი სამწუხაროდ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „ვეცდები კითხვებს ვუპასუხო დამაკმაყოფილებლად, ვადების განსაზღვრა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, როდესაც პროექტი დგება, მასში განსაზღვრულია არამარტო ღირებულება, არამედ ვადებიც, ანუ თუ პროექტში კონკრეტული სამუშაოს განსახორციელებლად საჭიროა 6 თვე და პროექტს ხელიც აქვს მოწერილი, მე, როგორც საჯარო მოხელეს, არ მაქვს უფლება ჩავერიო შიდა სამზარეულოში, რაც შეეხება კომპანიის კვალიფიკაციას, ამ შემთხვევაშიც შემიძლია მხოლოდ მივუთითო რა გამოცდილება უნდა ქონდეს კომპანიას, რომელიც ტენდერში შემოვა თუ ძაან გავზრდით გამოცდილებას, არსებობს რისკი, რომ აღარავინ შემოვიდეს, იმიტომ რომ დიდი კომპანიებისათვის ქუთაისში და პატარა ქალაქებში მუშაობა არ არის მომგებიანი, რაც შეეხება თეატრის უკან ჩატარებულ სამუშაოებს სანიაღვრეებთან დაკავშირებით, რომელიც კატასტროფული ხარისხით შესრულდა, რაც ფიზიკურად შეგვეძლო ყველა მექანიზმი გამოვიყენეთ ჩვენი მხრიდან, ხელშეკრულება გაწყვეტილია, ჯარიმა დაკისრებულია."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „თქვენის ნებართვით მექნება რამდენიმე შეკითხვა, პირველი ხარებავას ქუჩაზე, მდინარე ოღასკურას კალაპოტს თუ დაადგება საშველი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „ოღასკურას პროექტის დაწყების შემდეგ მოხდა რამდენიმე ფაქტი, რომელმაც მის განხორციელებას ხელი შეუშალა, ბოლოს იყო სტიქია, რომელმაც ყველაფერი რაც აწყობილი იყო იქ გასაკეთებლად, წაიღო, წელს წესით უნდა დამთავრდეს 99 %-ით."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „მეორე შეკითხვა ეხება მე-4 პოლიკლინიკას, აქ გაკეთებული გვაქვს როგორც ვიცით შიდა რემონტი, შენობა გარედან ვიზუალურად ძალიან საშინელ მდგომარეობაშია, ვფიქრობ, ჯობდა რემონტი გარე ფასადიდან დაგვეწყო."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „აღნიშნული შენობის მხოლოდ ნაწილი უკავია ამ პოლიკლინიკას, დანარჩენში, როგორც ვიცით იძულებით გადაადგილებული პირები არიან შესული."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „შადრევნის რეაბილიტაციაც მოგებული აქვს იმ შპს-ს, რომელმაც გაარემონტა ბაღი, დამეთანხმებით, რომ შადრევანზე არსებულმა ფიგურებმა ფერი შეიცვალა და სარეაბილიტაციოა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „შადრევნის პროექტი არის პროექტი, რომელიც ფაქტობრივად არ შესრულებულა და არც ჩაბარებულია, რეალურად მანდ არსებულ ფიგურებზე დატანილი უნდა ყოფილიყო ოქრო, მაგრამ რეაბილიტაციის დაწყებისას ეს ასე არ აღმოჩნდა. ფიგურები პერიოდულად საჭიროებენ გაწმენდას, მათზე მოქმედებს, როგორც წყალი, ასევე ზემოქმედებენ მზის სხივები და გასაწმენდია კვარტალში ერთხელ მაინც."

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე:** „მაინტერესებს აღმაშენებლის რეკრეაციული ზონის რეაბილიტაციას რა ვადა აქვს და რომელი კომპანია ახორციელებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „ვადა აქვთ 20 ოქტომბრამდე, მაგრამ დავაზუსტებ, პროექტი განიცდის მოდიფიკაციას, ბატონი სოსოს თხოვნით დაგეგმილია პროექტში შევიდეს კორექტირება ელექტრო ენერგიის მომარაგების ნაწილში და ეს რეკრეაციული ზონა გახდეს თვითკმარი, შესაბამისად ეს ვადა მნიშვნელოვნად შეიცვლება მაგრამ დასრულდება მიმდინარე წელს აუცილებლად."

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე:** „აღნიშნული, ჩემი აზრით გამოიწვევს ხარჯის გაზრდას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „პროექტთან დაკავშირებით ეხლა ზუსტად მუშაობს საპროექტო ზედამხედველობის განყოფილება, პროექტში მოვძიეთ შიდა რესურსები თანხის დამატების გარეშე რამდენად იქნება შესაძლებელი ამის განხორციელება, არის კიდევ ერთი მომენტი, გვქონდა მოლაპარაკება საჭირო პანელების შეძენასთან დაკავშირებით შესაბამის პირებთან და არ ვფიქრობთ, რომ საბაზრო ფასში შევიძენთ, თვითონაც არიან დაინტერესებული რა ფასშიც საექსპორტოდ გააქვთ იმ ფასში ქუთაისის შიგნით გაყიდონ."

კომისიის წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე:** „როდესაც დასრულდება პროექტირება, უპრიანი იქნება, სანამ კომპანია სამუშაოებს დაიწყებდეს ყველა კომპანიამ საკუთარი კომუნიკაციების შესწავლა და შეკეთება განახორციელოს, რათა დაგებული ასფალტის გაჭრა აღარ გახდეს საჭირო.ამასთან დაკავშირებით გასატარებელია ღონისძიებები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ, ჩვენ ქალაქს გენერალური გეგმის დამტკიცების შემდეგაც თუ არ ექნა ციფრული ბაზა, რისი გამოყენებითაც დაადგენს, რომელი საფარის ქვეშ რა კომუნიკაცია გადის, გამოდის, რომ ვმუშაობთ ბრმად და კონტრაქტორს ყოველთვის ვაძლევთ იმის ფუფუნებას აპელირება გააკეთოს სხვა, მისგან

დამოუკიდებელ მიზეზებზე. მოკლედ ამ მომსახურების შეძენა ქალაქისთვის მართლაც აუცილებელია.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „ წითელ ხიდთან არსებულ სიტუაციაზე მინდა გკითხოთ, გასავლელი ძალიან დავიწროებულია და როდის იქნება ამ ქაოტური მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მირზა ხიდაშელი:** „წითელ ხიდთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს, სამუშაოები ტარდება მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, გათხრების დროს აღმოჩენილია გარკვეული თაღოვანი ნაგებობები მიწის ქვეშ, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ იმსჯელა და გასცა რეკომენდაცია დროებით შეჩერდეს სამუშაოები და შემდგომში რა მოხდება ამას ვერ გეტყვით წინასწარ.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ და დამაკმაყოფილებლად შეფასებულ იქნეს დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში, დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიში, დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ.“**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ დირექტორმა, ბატონმა **თენგიზ არსენიძემ.**

ბატონმა **თ. არსენიძემ** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ 2022 წელს შვიდი თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ: 2022 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 6 879 100 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 900 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 3 814 422,09 ლარი და 544 568,95 ლარი საკუთარი სახსრებიდან. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებმა" დამატებითი მომსახურების და მაკულატურის

რეალიზაციით მიიღო 545 902,57 ლარის შემოსავალი (დამატ.მომსახურება ურნების გამოყენებით -507 166,79ლ; სხვა დამატებითი მომსახურებიდან - 3110,0ლ; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით - 7647,30ლ; მაკულატურის რეალიზაციით - 24 837,48ლ და სხვა შემოსავლები - 3141ლ). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფასხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 21 515,38 ტონა (61 460,80 მ³ და 4,10 ტონა). დაიგვა და დასუფთავდა - 497 151 096.0 მ². ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 825 000 მ² ქალაქის ქუჩა. დაიპრესა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 103 შეკვრა მუყაო და 11 შეკვრა პოლიეთილენის ბოთლები, 2021 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 63 შეკვრა. აქედან 114 შეკვრა გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 24 837,48 ლარი. გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 530 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 161 ძირი ხე. დაიმორა 154 მ³ საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 144 ბენეფიციარი. უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოიყვანილ იქნა 833 ძაღლი, 20 ლეკვი და 83 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაშვილდა 62 ძაღლი, 23 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მქლობებლებს დაუბრუნდათ 83 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 61 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 15 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 687 ძაღლს, აიცრა 671 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 782 ძაღლი. დამატებით კერძო მოსახლეობიდან შემოყვანილი შინაური ცხოველების, ძაღლების მომსახურებიდან ორგანიზაციამ მიიღო 5667,30 ლარი და 1080 ლარი მსხვილფეხა რრქოსანი პირუტყვის მომსახურებიდან. ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ დეზინფექცირდა 11 137 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 24 778 მ² ტერიტორია. დეზინსექცირდა, სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა და ლიკვიდირებულ იქნა 25 კრაზანის ბუდე. გაიწმინდა - 15 006 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 790 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 601 330 მ² ფართობი. შესრულდა - 298 სხვა დამატებითი სამუშაო. დამონტაჟდა - 9 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ბატონო თენგიზ სულ რამდენი მანქანა გყავთ ახლა ააიპ-ში?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „გვყავს 8 ერთეული გადამზიდი, ე.წ პრესი, 8 ცალი 7 კუბიანი მოცულობის, რომლებიც უბნებში დადის, 2 ცალიც რეაბილიტაციის შედეგად დაემატება და მთლიანობაში გამოდის 10 პატარა და 8 დიდი მანქანა."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „18 მანქანა, როგორც ვიცი არაა საკმარისი იმ სიხშირით სიარულისათვის, რაც ცალკეულ უბნებს ესაჭიროებათ, მინდა დავაფიქსიროთ პრობლემა, იქნებ იყოს საშუალება, რომ უახლოეს მომავალში გადავჭრათ რაღაც ძალებით."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ჩვენს ქალაქში ერთ-ერთი პრობლემა კიდევ ქუჩების რეცხვაა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ცენტრალური ქუჩა მაინც უნდა ირეცხებოდეს, იქნებ მოვაგვაროთ ეს პრობლემაც."

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების"

დირექტორი, ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „მქონდა მერთან ამ საკითხზე საუბარი, სურვილი გამოითქვა, რომ გაუსაძლისი მსიცხეების გამო მომხდარიყო შუადღის პერიოდში ქუჩების მორწყვა, მაგრამ აღმოვჩნდით პრობლემის წინაშე, მსუბუქი ავრტომობილების მძღოლები არიან უკმაყოფილო გარეცხილ მანქანებს ეს შხეფები რომ ესხმევა და საქმე მისულა ზოგჯერ კომფლიქტამდეც კი, ამიტომ ჩვენი მანქანები გამოდიან დილით 7-ის ნახევარზე და რწყავენ ცენტრალურ ქუჩებს ყოველ დილით აუცილებლად."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 12-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ და დამაკმაყოფილებლად შეფასებულ იქნეს დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" ანგარიში, დღემდე გაწეული სამუშაოს შესახებ."

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და

საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

ამირან კოპალეიშვილი